ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები
(მუხლი 65)

- სთხოვეთ ამომრჩეველს, წარმოადგინოს:
  - ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
  - ✓ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის შემთხვევაში – დევნილის მოწმობა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან ან საქართველოს მოქალაქის პასპორტთან ერთად.
- შეამოწმეთ, არის თუ არა ამომრჩეველი შეყვანილი ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში, და შეადარეთ ამომრჩევლის პირადი ნომერი ამომრჩეველთა სიაში არსებულ ნომერს.
- შეამოწმეთ წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში შეტანილი ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემებისა და ამომრჩეველთა სიაში არსებული მონაცემების შესაბამისობა.
- შეამოწმეთ წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში და ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათების და ამომრჩევლის სახის ერთმანეთთან შესაბამისობა.
- თუ ამომრჩეველი შეყვანილია ამომრჩეველთა სიაში, გაუკეთეთ ამომრჩეველს მარკირება.
- დაამოწმეთ საარჩევნო ბიულეტენი (უკანა გვერდზე, ამისთვის განკუთვნილ ადგილზე) რეგისტრატორის ბეჭდით.
- მოაწერეთ ხელი საარჩევნო ბიულეტენის უკანა გვერდზე.
- ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით დაადასტურეთ საარჩევნო ბიულეტენის გაცემა.
- სთხოვეთ ამომრჩეველს, ამომრჩეველთა სიაში თავისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით დაადასტუროს საარჩევნო ბიულეტენის მიღება.
- გადაეცით ამომრჩეველს თქვენ მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი.
- მიუთითეთ ამომრჩეველს, შევიდეს კენჭისყრის კაბინაში.

ყურადღება!

- თუ ამომრჩეველი არ წარმოგიდგენთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას, საქართველოს მოქალაქის პასპორტს, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის შემთხვევაში – დევნილის მოწმობას საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან ან საქართველოს მოქალაქის პასპორტთან ერთად, მას არ უნდა გადასცეთ საარჩევნო ბიულეტენი.
- თუ ამომრჩეველი უარს აცხადებს მარკირებაზე, მას არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება და არ უნდა გადასცეთ საარჩევნო ბიულეტენი
- ამომრჩეველი, რომელიც ფიზიკური მდგომარეობის, კერძოდ, ზედა კიდურების არქონის, გამო ვერ ახერხებს ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას, არ გადის მარკირების პროცედურას. ამომრჩევლისათვის საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას ამომრჩეველთა ერთიანი სიის გრაფაში „ამომრჩევლის ხელმოწერა“ უნდა გააკეთოთ ჩანაწერი „ფიზიკური მდგომარეობა“ და დაადასტუროთ ხელმოწერით.
- თუ თქვენ ან ამომრჩეველს გაგიფუჭდებათ საარჩევნო ბიულეტენი, ეს დაუყოვნებლივ აცნობეთ კომისიის თავმჯდომარეს და ამომრჩეველს გადაეცით ახალი (თქვენ მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული) საარჩევნო ბიულეტენი.

გაითვალისწინეთ!

- ✓ რეკომენდებულია ამომრჩეველთა რეგისტრატორმა 10:00, 12:00, 15:00 და 17:00 საათებზე, კენ-ჭისყრის პროცესისთვის ხელის შეუშლელად გადაითვალოს ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების და მის მიერ გაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობები (კომისიის თავმჯდომარისთვის გადაცემული გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის ჩათვლით). თუ მონაცემებს შორის სხვაობა გამოვლინდა, ამომრჩეველთა რეგისტრატორმა დაუყოვნებლივ უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება, რომელიც დაერთვება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.
- ✓ ამომრჩეველთა რეგისტრატორის ფუნქციის გადაცემის შემთხვევაში რეგისტრატორი ვალდებულია გადაითვალოს ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების და მის მიერ გაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობები (კომისიის თავმჯდომარისთვის გადაცემული გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის ჩათვლით) და შედეგები აცნობოს კომისიის თავმჯდომარეს. თუ მონაცემებს შორის სხვაობა გამოვლინდა, ამომრჩეველთა რეგისტრატორმა დაუყოვნებლივ უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება, რომელიც დაერთვება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.